ხალგაზრდა ეროელი

27 აპრილი შაბათი 1991 № 48 (11681)

1921 წლიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების წინ

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 24 აპრილს გამართულ თავის სხდომაზე პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა **ზვიად გამსახურდია,** ფილოლოგი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, „მრგვალი მაგიდის“ სპიკერი, საქართველოს ჰელსინკის კავშირისა და სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარე. პოლიტიკურმა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“, რომელმაც დაასახელა იგი ამ თანამდებობის კანდიდატად, პირველმა წარუდგინა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას იმ ამომრჩეველთა სია, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ბატონ ზვიად გამსახურდიას. კანონის თანახმად, ამ სიის შესაბამისი შესწავლის შემდეგ კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ.

წინა დღეს კი, 23 აპრილს, გვიან საღამოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამთავრა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატების წარდგენის შესახებ პოლიტიკური პარტიებისაგან, საარჩევნო ბლოკებისა და ამომრჩეველთა ჯგუფებისაგან განცხადებათა მიღება. ამ თანამდებობის პრეტენდენტთა შორის კიდევ რვა კაცია. ესენი არიან:

ირაკლი შენგელაია, ლიტერატორი, ინტელექტუალური ასოციაციის „თავისუფალი აზრის“ პრეზიდენტი — ორგანიზაციისაგან „დემოკრატიული არჩევანი საქართველოსათვის“ (დასი), საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიისაგან, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისაგან, რომლებიც შედიან პოლიტიკურ ბლოკში „თავისუფლება“;

გიორგი ყორღანაშვილი, ინჟინერ-მეტალურგი, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე — საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიისაგან;

როინ ლიპარტელიანი, სწავლული აგრონომი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარ სამმართველოში არსებული სამმართველოს უფროსი, სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის თავმჯდომარე — სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირისაგან;

ჯემი მიქელაძე, იურისტი, საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი — საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიისაგან;

ქართლოს ღარიბაშვილი, იურისტი, საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი, ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი, მოძრაობის „დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე — ამომრჩეველთა ჯგუფისაგან;

ვალერიან ადვაძე, ეკონომისტი, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე — საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირისაგან;

ნოდარ ნათაძე, ფილოლოგი, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის სექტორის გამგე, საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარე — საქართველოს სახალხო ფრონტის, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან;

თამაზ კვაჭანტირაძე, ფილოლოგი, ჟურნალ „ბალავარის“ მთავარი რედაქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის დოცენტი — საქართველოს თავისუფალ დემოკრატთა კავშირისაგან.

საქართველოს რესპუბლიკის ყველა დასახელებულ პრეზიდენტობის კანდიდატს მინიჭებული აქვს მხარდამჭერი ამომრჩევლების სიების შეგროვების უფლება. კანონის თანახმად, ეს სიები, რომლებშიც უნდა იყოს სულ ცოტა 10 000 ამომრჩევლის ხელმოწერა, უნდა წარედგინოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაციისათვის არჩევნებამდე არა უგვიანეს 23 დღისა, ესე იგი არა უგვიანეს 1991 წლის 2 მაისის 22 საათისა.

როგორც კომისიის სხდომაზე აღინიშნა, წინასწარ პატიმრობაში მყოფი ჯაბა იოსელიანის პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენის შესახებ ამომრჩეველთა ჯგუფისაგან განცხადება არ ყოფილა მიღებული, რადგან იგი შემოვიდა „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის შემდეგ. ამ ცვლილებების თანახმად, არჩევნებში არ მონაწილეობენ პირები, რომელთა მიმართ სისხლისსამართლებრივ-საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით არჩეულია აღკვეთის ღონისძიება — პატიმრობა. ამის შესაბამისად, საინიციატივო ჯგუფს, რომელმაც დაასახელა ეს კანდიდატურა, არ მიეცა მისი მხარდამჭერი ამომრჩეველების სიების შეგროვების უფლება.

სხდომაზე განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების მომზადებასთან და მოწყობასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც.

საქინფორმი

ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 22 აპრილს დაადგინა პრეზიდენტობის კანდიდატების მხარდამჭერთა სიების შემოწმების წესი:

მხარდამჭერთა სიებიდან კომისიამ შეამოწმოს შემთხვევით აღებული 100 ხელმოწერა. თუ ბათილად იქნა ცნობილი 10 პროცენტზე ნაკლები ხელმოწერა, მხარდამჭერთა საერთო რიცხვს დააკლდება იმდენივე პროცენტი, ხოლო დარჩენილი ხელმოწერები ნამდვილად ჩაითვლება. თუ ბათილად იქნა ცნობილი ასიდან 10 პროცენტი ან მეტი ხელმოწერა, შემოწმდება კიდევ 900 ხელმოწერა და მხარდამჭერთა საერთო რიცხვს დააკლდება იმდენი პროცენტი შემოწმებული 1000 ხელმოწერიდან, რამდენი პროცენტიც იქნა ცნობილი ბათილად; დარჩენილი ხელმოწერები ნამდვილად ჩაითვლება.

სრულიად საქართველოს საპროტესტო აქცია

25 აპრილს შუადღისას სამი წუთით შეაჩერეს მუშაობა საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ტრანსპორტმა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. შეწყდა მეცადინეობა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში. ასე აღინიშნა საერთო-რესპუბლიკური საპროტესტო აქცია, რომლის მოწყობის ინიციატორად გამოვიდა საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციასთან შექმნილი საგაფიცვო მოძრაობის კომიტეტი. გაფიცვა მოეწყო სამაჩაბლოდან საბჭოთა ჯარების გაყვანისათვის, ცენტრის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში დეზინფორმაციის კამპანიის შეწყვეტისათვის ხალხის სამართლიანი ბრძოლის მხარდასაჭერად,

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა
დმანისის რაიონში
პრეფექტად დანიშნა
ლერი ბესარიონის ძე გირგვლიანი

მხარს ვუჭერთ კანდიდატურას...

დაიწყო ჩვენს რესპუბლიკაში საქართველოს პირველი პრეზიდენტის არჩევნების გამართვის მნიშვნელოვანი ეტაპი. კანდიდატთა მხარდასაჭერად მიმდინარეობს ამომრჩეველთა ხელმოწერების შეგროვება. რეგისტრაციის ასეთმა ფორმამ უნდა უზრუნველყოს კანდიდატურათა დასახელების დემოკრატიულობა.



სურათებზე: რუსთაველის პროსპექტზე მიმდინარეობს ხელმოწერათა შეგროვება ბატონ ზვიად გამსახურდიას კანდიდატურის მხარდასაჭერად.

პაატა არჩვაძის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა)

ДОРОГИЕ ДРУЗЬЯ!

ДОРОГИЕ ДРУЗЬЯ!

ДОРОГИЕ ДРУЗЬЯ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს რესპუბლიკის“ 19 იანვრის ნომერში დაიბეჭდა ბ-ნ პაატა სურგულაძის საყურადღებო წერილი „ოსთა საკითხი...“ ავტორი აღნიშნავს: „დემოკრატიული საქართველოს დესტაბილიზაციის მიზნით, 1918 წელს საქართველოს სოფლებში გაჩაღებულმა აგრარულმა მოძრაობამ ოსი გლეხობაც ჩაითრია... ხელმძღვანელი ქართველი ბოლშევიკები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს, მათ შორის ოსებს, აქეზებდნენ საქართველოს წინააღმდეგ. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ ს. ორჯონიკიძე, ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტის თავმჯდომარე, ფ. მახარაძე და ა. გეგეჭკორი“.

ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ მკითხველს დამატებით გავაცნობთ ასევე „ოსთა საკითხთან“ დაკავშირებულ რამდენიმე ამონაწერს ჩვენს ხელთ არსებული, ფართო მკითხველისათვის ალბათ ნაკლებად ხელმისაწვდომი ორი წიგნიდან.

„ოსები შეუფერებლათ მოიქცნენ...“

ერთი წარმოადგენს 1924 წელს თბილისში გამოცემულ ფილიპე მახარაძის თხზულებათა კრებულის IV ტომს, რომლის სერთო სათაური „ნაციონალური საკითხი“. აღნიშნულ წიგნში მოთავსებულია რამდენიმე წერილი, რომლებიც უშუალოდ შეეხება ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხებს. წერილში „ყველას გასაგონად (სამხრეთ ოსეთის აჯანყების გამო)“ (1920 წ.) დასტურდება ბ-ნ პ. სურგულაძის შიერ აღნიშნული „ხელმძღვანელი ქართველი ბოლშევიკების“ კერძოდ, ფ. მახარაძის აქტიური წამქეზებლური საქმიანობა: „სამხრეთ ოსეთი კვლავ აჯანყდა და თავის შინ მან საბჭოთა ხელისუფლება (მთავრობა) გამოაცხადა., ის ისწრაფვის ეროვნული თვითგამორკვევისაკენ. ასეთი აჯანყება იქ დაახლოვებით ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში მესამეჯერ ხდება. აქედან აშკარაა, თუ რანაირ სერიოზულ მოვლენასთან გვაქვს ჩვენ აქ საქმე... ქართველ მენშევიკების დამოკიდებულება სამხრეთ ოსეთის საკითხთან: სიტყვით ეს პარტია სცნობს ერთა თვითგამორკვევას, მაგრამ საქმით ის, როგორც მმართველი პარტია საქართველოში, ოსების ნაციონალურ მოძრაობას ძალადატანებით აჭრობს. ჩვენ ვამბობთ, რომ მენშევიკების ასეთი პოლიტიკა ვერ გამართლდება მუშათა ინტერნაციონალის პრინციპით., მისი გამართლება შეიძლება მხოლოდ „პიტალისტური ან იმპერიალისტური იდეოლოგიით“ (გვ. 145).

როგორც ვხედავთ, ფ. მახარაძე გმობს „ოსების ნაციონალური მოძრაობის ძალდატანებით ჩაქრობას“, ხოლო რამოდენიმე სტრიქონის შემდეგ კი თვითონ აღიარებს, რომ ხსენებული „ნაციონალური მოძრაობა“ შეიარაღებულ აჯანყებას წარმოადგენდა ქართული ტერიტორიის მიტაცების მიზნით: „თხვის პოლიტიკას სამხრეთ ოსეთის შესახებ მენშევიკები ამართლებენ შემდეგი საბუთებით: 1). სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევა ნიშნავს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გალაშქრებას., 2). ოსეთის შეიარაღებული აჯანყება საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ რუსეთთან საბავო ხელშეკრულების დარღვევაა... ვერც ერთი ამ საბუთთაგანი კრიტიკას ვერ უძლებს. რით უნდა შეუშალოს ხელი პატარა ოსეთის თვითგამორკვევამ შედარებით დიდ საქართველოს დამოუკიდებლობას? აშკარაა, თუ დიდი რუსეთის არსებობა ხელს არ უშლის პატარა საქართველოს არსებობას, ისე პატარა ოსეთის არსებობა ხელს ვერ შეუშლის საქართველოს არსებობას, **რომელიც სრულებით არ საჭიროებს პატარა ოსეთის ტერიტორიას“**. (ხაზგასმა აქ და ქვემოთაც ჩვენია. — გ. მ) (გვ. 146).

ასეთივე „გულახდილობით“ წერს ფ. მახარაძე ოსეთის აჯანყების „დამოუკიდებლობაზე“: „მენშევიკები ამბობენ, რომ აჯანყებას საიდუმლოთ ხელი შეუწყო და დაეხმარა საბჭოთა რუსეთიო. მაგრამ ოსეთი წინათაც ორჯერ აჯანყდა, როცა საბჭოთა რუსეთს მისთვის არავითარი დახმარების აღმოჩენა არ შეეძლო, და რათ არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ახლაც ის დამოუკიდებლათ აჯანყდა?“. მაგრამ იქვე პირდაპირ აღიარებულია შემდეგი: „ოსეთის მოძრაობას თითქო არავითარი ლოზუნგი არ წამოეყენებინოს. როგორც ჩანს ბოლშევიკურ-კომუნისტური ლოზუნგები, ლოზუნგები საბჭოთა ხელისუფლებისა, მენშევიკებისათვის ლოზუნგი არაა, ვინაიდან ეს ლოზუნგები მათ არ მოსწონთ. მენშევიკები ვერ უარყოფენ იმ ფაქტებს, რომ **სამხრეთ ოსეთი საბჭოთა მთავრობის დროშის ქვეშ იბრძვის**, მაგრამ ეს მისი უფლებაა...“ (გვ. 147).

აქ მკითხველის ყურადღება გვინდა მივაპყროთ შემდეგ გარემოებას: როგორც ახლახანს გამოქვეყნებული პროფ. ლ. თოიძის მრავალი ისტორიული დოკუმენტით არგუმენტირებული მნიშვნელოვანი პუბლიკაციიდან „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა“ ირკვევა, ჩვენს მიერ ზემოხსენებული წიგნიდან ციტირებული ეს წერილი ოსების წამქეზებელ ფ. მახარაძეს 1920 წ. 13 ივნისის გაზ. „კომუნისტის“ გვერდებზე ხელმოუწერლად ჰქონია დაბეჭდილი!... (იხ. „მაცნე“ ისტორიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 1990 წ., № 4, გვ. 73).

იმავე წიგნში მოთავსებულ წერილში „ფედერალისტები ახმაურდნენ“ (1920 წ.) ინტერნაციონალისტი ფ. მახარაძე წერს: „... ამ ვაუბატონებმა მიზანში ამოიღეს ერთი მხრით, ადგილობრივი კომუნისტები და, მეორე მხრით ოსობა... „სახალხო საქმის“ უკანასკნელი ნომრები გავსებულია ამგვარი წერილებით — არავითარი სარგებლობა მათგან (ე.ი. ოსებიდან) და აუარებელი ხარჯები... ოსების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება რაოდენ ფულად უჯდება საქართველოსო... მათში ფართოდ განხორციელდა კულტურული ავტონომია და ისევ საქართველოს ხარჯითო. **ვიქვათ, ყოველივე ეს სიმართლეა.** მერე რა უნდათ ამ ვაუბატონებს? რათ ჩაიჭიმდნენ ამ ერთ მუჭა ოსებს და აღარ ეშვებიან... ეს კიდევ არაფერი: „სახალხო საქმე“ განადგურებით და გაქრობით ემუქრება ოსებს ურჩობისათვის. საუკუნოდ უნდა დაპკარგოთ **ლალატის ყოველგვარი ხალისიო**, სწერს ის. კმარა! საქართველოს აღარ შეუძლია **ზურგს უკან გამუდმებით იყოლიოს შეიარაღებული მოღალატეო...**“ (გვ. 150).

ავტორის საოცარი „გულუბრყვილობაა“ გამომჟღავნებული ამავე წერილის დასასრულში: „ბ-ნი ს. ფირცხალავა მოუწოდებს თავის ჯარს ქართველი ბოლშევიკების წინააღმდეგ. საქართველოს დამოუკიდებლობის უდიდესი მტრები არიან — სწერს ეს ვაუბატონი — სწორედ ქართველი ბოლშევიკები. აწინდელი ქართველი ბოლშევიკების როლი არაფრით არ განსხვავდება იმ ქართველის როლისაგან, რომელიც სპარსეთს მოუძღოდა წინ სამშობლოს დასამონებლადო“ (გვ. 150).

მალე გაამართლა კიდევაც „ხელმძღვანელმა ქართველმა ბოლშევიკმა“ ფ. მახარაძემ თავისი როლი... აი, რას წერს იგი უკვე 1921 წლის 16-17 მარტით დათარიღებულ წერილში „რისთვის შემოვიდა ჩვენში წითელი არმია“: „მე გავიგე, რომ დამფუძნებელ კრების უკანასკნელ სხდომაზე განაცხადეს, თითქო მე მოღალატე ვიყო, თითქო მე ბოროტი მიზნებით მოვუძღოდი რუსის ჯარებს და სხვ. ასეთ პროვოკაციულ ხმებს მე დიდი ხანია შევეჩვიე... დიახ, ჩვენ არ ვმალავთ, პირიქით, სიამაყით ვამბობთ, რომ ჩვენ აქ შემოვიყვანეთ წითელი ჯარი, ის ჯარი, რომელიც საუკეთესო დამცველია მშრომელებისა და მუშების ინტერესების. დიახ, ჩვენი ნებასურვილით მოვიდნენ საქართველოში წითელ-არმიელები. ჩვენ მოვუძღოდით მათ... ჩვენ რომ ეუთხრათ, ისინი დღესვე დატოვებენ საქართველოს, მაგრამ მერწმუნეთ, რომ წითელ-არმიელები ჯერ კიდევ საჭირონი არიან ჩვენში“ (გვ. 212-214).

იმავე წერილში ფ. მახარაძე აკეთებს განსაცვიფრებელ განცხადებას, რომელიც საბოლოოდ ააშკარავებს ბოლშევიკებისა და მათ მიერ წაქეზებული ოსების სამარცხვინო როლს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობის საქმეში: „მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთმა პირველმა სცნო საქართველოს იურიდიული დამოუკიდებლობა, მენშევიკური საქართველო მაინც განაგრძობდა საბჭოთა რუსეთისადმი მტრობას. აქ, საქართველოს მიწა-წყალზე მენშევიკების ლოცვა-კურთხევით სდგებოდა კონტრრევოლუციონური რაზმები, რომლების მიზანს შეადგენდა საბჭოთა ძალა-უფლების დამხობა. ეს იყო მსსხრათ აგდება დიდი რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

მენშევიკურმა მთავრობამ ისარგებლა სომხებისა და ქემალისტების ომით და ძალით შეიყვანა ჯარი ნეიტრალურ ზონაში, რომლის დაკავების უფლება მას არ ჰქონდა. თქვენ ალბათ ისიც გახსოვთ, თუ რა უბედურება დაატყდა თავს ერთ მუჭა ოსებს. **შეიძლება ოსები შეუფერებლათ მოიქცნენ**, მაგრამ ისეთი უსასტიკესი გაშმაგებით ბრძოლა მათთან დაუშვებელი იყო... ვერ შესძლო გაქცეოდა! ეს სიტყვებია: **„ოსები შეუფერებლათ მოიქცნენ...“**

თუ რას ნიშნავდა ეს სიტყვები, ამაზე პასუხს გვცემს მეორე დოკუმენტი, რომლის სრული სახელწოდებაა „სრულიად საქართველოს მაზრებისა და ქალაქების რევკომების თავმჯდომარეთა და მათი მოადგილეების პირველი ყრილობა (სტენოგრაფიული ანგარიშები). 1922 წ. სახელმწიფო სტამბა“. ტექსტიდან ირკვევა, რომ ყრილობა გაიმართა 1921 წ. 21-28 ნოემბერს ქ. თბილისში.

ჩვენ ყოველგვარი კომენტარების გარეშე, მოვიტანთ შედარებით ვრცელ ამონაწერებს (სათანადო გვერდების მითითებით), აღნიშნულ სტენოგრაფიულ ანგარიშებში დაბეჭდილი მაშინდელი შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ბესარიონ კვირკელიას საანგარიშო მოხსენებიდან: „რუსეთის სამი წლის გამოცდილებამ, სხვათა შორის, აშკარად დაგვანახა ერთი რამ, სახელდობრ ისა, რომ პოლიტიკური ცხოვრების ხშირი და ძირითადი ცვლილებანი უდიდეს გავლენას ახდენდნენ ქვეყნის ეკონომიურ მოგომარეობაზე და განსაკუთრებით მის მეურნეობაზე.

ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს **გორის მაზრის ჩრდილო ნაწილის, ე. ი. სამხრეთ ოსეთის** მდგომარეობა, სადაც ყოფილ მენშევიკური მთავრობის მიერ იმერეთიდან გადმოსახლებულ იქნა 700-მდე ოჯახი. შემდეგ, როდესაც თბილისი წითელმა არმიამ დაიკავა, გადახვეწილი ოსობაც დაუბრუნდა თავის სახლ-კარს და რაკი მათ ქართველობა დაუხვდათ ჩასახლებულნი, **ოსობამ სრულიად გაანადგურა დამხვდური ქართველობა** (გვ. 77-78).

ოსეთში დაზარალებულ ქართველთა დამხმარე კომისიის მუშაობა... არა ნაკლები ყურადღება მიაქცია კომისარიატმა იმ ქართველების მატერიალურ მდგომარეობას, რომლებიც დაზარალდნენ ოსეთში. ოსების დაბრუნების შემდეგ ეს ქართველები იძულებულნი იყვნენ უკან დაბრუნებულიყვნენ. ამ დაბრუნების დროს მათ დაჰკარგეს სარჩო-საბადებელი და მუშა საქონელი. აღნიშნული ქართველების ზარალის რაოდენობის გასარკვევად შექმნილ იქნა ორი კომისია: ერთი მათგანი მუშაობდა აღმოსავლეთ საქართველოში (გორის მაზრა), ხოლო მეორე დასავლეთ საქართველოში (შორაპნის მაზრა)...

მეურნეობის გაძლიერების მიზნითვე შს სახალხო კომისარიატმა დახმარება აღმოუჩინა... ალაგირდან გადმოხვეწილ ქართველებს, რომლებიც უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდნენ სიღნაღის მაზრაში... (გვ. 78).

სამხედრო მოქმედებით მიყენებულ ზარალის აბაზღაურებელ კომისიის მუშაობა... ამ კომისიის დაარსება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ **საბჭოთა ჯარებმა, რომლებმაც ბრძოლით გაიარეს საქართველოს მთელი ტერიტორია, ძალაუნებურად შეხამჩნევი ზარალი მიაყენეს ადგილობრივ მცხოვრებთ**, განსაკუთრებით იმ რაიონებისას, სადაც შეტაკებები ხდებოდა და ან **სადაც წითელ ჯარებს ხანგრძლივ გაჩერება უხდებოდათ**. მართალია, ბრძოლის პროცესში სრულიად ნორმალურად უნდა ჩაითვალოს **ბრძოლის რაიონების მცხოვრებთა დაზარალება...** გასულ ექვსი თვის განმავლობაში კომისიაში აღძრულია სულ 862 საქმე, რომელთა შორის ნაწილი შეეხება მთელს სოფლებს...“ (გვ. 79-80).

აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბ. კვირკელიას გამგებლობაში მყოფ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „ადმინისტრატიულ ერთეულთა განყოფილების“ ფუნქციებში შედიოდა „რესპუბლიკაში ახალი ადმინისტრატიულ-ტერიტორიული გადამიჯვნა-გადაჯგუფება“. სახალხო კომისარმა ყრილობას მოახსენა: „გამოდიოდით რა, მაშასადამე, ხალხის ინტერესებიდან, **ჩვენ ახალ ადმინისტრაციულ ხაზების გავლებაში ვემხრობოდით დეცენტრალისტურ ტენდენციებს...** დასრულებული საქმეებით მიღებულია შემდეგი ადმინ.-ტერიტორიალური ცვლილება თუ განკარგულებანი: ა) დაწესდა დროებით გორის მაზრის ფარგლებში ახალი ადმინისტრატიული ერთეული, შვიდ სოფლის საზოგადოებათაგან შემდგარი ოსთა მოსახლეობისათვის, სადაც მოქმედებს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო — რევკომი მაზრის უფლებებითა და მოვალეობანით. ამ ადმინისტრატიულ ერთეულის ცენტრათ აღიარებულია სოფ. ჯავა., ბ) დაწესდა, თანახმად 25 სოფლის შუამდგომლობისა იმავე გორის მაზრის ცხინვალის რაიონში ხუთი სათემო რევკომი შემდეგ სოფლებში: ქვემო ახაბეთში, ზემო ნიქოზში, დიცში, ძარწემში და ვანათში... განყოფილების მუშაობა იმ მიზნების აღსრულებაში, რომელიც მას აქვს დასახული, მომავლის საქმეა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი ჯეროვნად შეასრულებს თავის პასუხსაგებ მოვალეობას“ (გვ. 65-66).

დასასრულ, მკითხველს უნდა შევახსენოთ, რომ ხელმძღვანელმა ქართველმა ბოლშევიკებმა მართლაც „ჯეროვნად შეასრულეს თავისი პასუხსაგები მოვალეობა“ და ზემოხსენებული ყრილობის დამთავრებიდან სულ ხუთი თვის შემდეგ, საქართველოს ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს 1922 წლის 20 აპრილის ერთობლივი დეკრეტით გამოაცხადეს ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიის „დეცენტრალიზაციის“ მიზნით, ძირითადად გორის მაზრიდან „გამოჭრილი“, ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა.

გურამ მჭედლიძე

ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების განცხადება

ძვირფასო თანამემამულენო!

ჩვენს საზოგადოებას დღიდან დაარსებისა ღირსეულად უტარებია ქართველთა ეროვნული გმირის, დიდებული ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელი და მუდამ იქ იყო, სადაც ქართველ ერს ყველაზე მეტად უჭირდა.

ჩვენი ოცნებაა აღდგეს ქართველი ერის ტრადიციული ეროვნული ხვე-ჩვეულებანი და მამა-პაპათა ადათ-წესი, ქართველ ერში განმტკიცდეს მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების ზნეობრივი ნორმები, რის უწინარეს პირობად ქართველ ბაგრატიონთა მეფური დინასტიის საქართველოს სამეფო ტახტზე აღდგინება მიგვაჩნია.

იმის გამო, რომ ჩვენი ორგანიზაციისა და ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის პოზიციები უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხებში ძირეულად თანხვდენილია; იმის გამო, რომ საქართველოს ამჟამად და შემდგომშიც ერთ მუშტად შეკრული ქართველი ერი სჭირდება და არა პარტიკულარიზმით დახეჩილი ქართველობა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოება სთავაზობს ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირს, რომ ჩვენი ორგანიზაცია მიღებულ იქნას ამ კავშირთან ასოციირებულ საზოგადოებად, რათა ქართველი ერის საკეთილდღეოდ, საერთო ძალისხმევით განვაგრძოთ ბრძოლა საქართველოს საბოლოო განთავისუფლებისა და შთამომავალთა ბედნიერი მომავლისათვის.

ვიაროთ ღვთის გზით და ღმერთი ჩვენთან იქნება!

ვინონეგთ პრეს-კლუბის იდეას

ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური კავშირის პარლამენტი ინტერესით გაეცნო გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ ამა წლის 20 აპრილს გამოქვეყნებული თსუ-ს პრეს-კლუბის მიმართვას. სტუ-ს სტუდენტური კავშირი მხარს უჭერს პრეს-კლუბის მიერ დასმულ წინადადებებს. საქართველოს დღეს ჰაერივით სჭირდება დაინტერესებულ ძალთა შორის დიალოგი და კონსტრუქციული ურთიერთდამოკიდებულება, რაც მომავალში უნდა გახდეს დამოუკიდებელ საქართველოში სტაბილურობის და პოლიტიკურ ცხოვრებაში ცივილიზირებული დემოკრატიული ნორმების დამკვიდრების ვარიანტი.

სტუდენტური კავშირი იწონებს პრეს-კლუბის იდეას იმასთან დაკავშირებით, რომ სწორედ სტუდენტობამ, ახალმა თაობამ უნდა იკისროს შუამავლის ფუნქცია ეროვნულ ძალთა შორის მჭიდრო კონტაქტების დასამყარებლად და მზად აწის დაუყოვნებლივ დამყაროს კავშირი ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასთან და პირთან.

სტუ-ს სტუდენტური კავშირი მოუწოდებს საქართველოს სტუდენტობას მხარი დაუჭირონ თსუ პრეს-კლუბის ინიციატივას და მონაწილეობა მიიღოს ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტაში.

მ. კაციტაძე,
სტუ-ის სტუდენტური კავშირის პრეზიდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ბედნიერი მომავლისთვის,



საქართველოში მნიშვნელოვნად იმატა დანაშაულთა რიცხვმა. ახლა უფრო ხშირად იტყობინებიან საინფორმაციო საშუალებები — მოკლეს, დაწვეს, გაიტაცეს, გაძარცვეს..., გართულდა ეთნოკონფლიქტები. სამაჩაბლო კვლავ ცხელ წერტილად რჩება.

ახლახან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნა სპეცდანიშნულების ათასეული. ამ რაზმში გაერთიანების მსურველები იმთავითვე ბევრი გამოჩნდა, მაგრამ უპირველესად, ჯანმრთელი, კარგი ფიზიკური მომზადებითა და შესაბამისი აღნაგობის ქართველი ჭაბუკების შერჩევა, სამწუხაროდ, რთული შეიქნა. იქნებ გაგიკვირდეთ, მილიონნახევრიან ქალაქში 300 ჯანმრთელი ვაჟკაცი როგორ არ მოიძებნაო, მაგრამ... დღეს ამ რაზმში მხოლოდ 100 ქართველი რიცხება.

●

ჯერჯერობით საწვრთნელი ვარჯიშები საქართველოს ეროვნული სტადიონის საპიდაო დარბაზში მიმდინარეობს. ვარჯიშებს უშუალოდ ჯიუ-ჯი-ცუს საქართველოს ფედერაცია უწყვეს მეთვალყურეობას. აქვე აღვნიშნავ, რომ ეს ფედერაცია საბჭოთა კავშირიდან ერთადერთია, რომელიც ახლახან ჯიუ-ჯი-ცუს მსოფლიო ასოციაციაში დამოუკიდებელ წევრად შეიდა.

მალხაზ ყიფიანი — სპეცდანიშნულების ათასეულის პირველი ასეულის მეთაური:

ამ ვარჯიშებისას ჩვენ, ძირითადად, ჯიუ-ჯი-ცუს და კარატეს საბრძოლო ხელოვნებას დავესესხეთ. ასეთი ტიპის ვარჯიშები აუცილებელია სპეცდანიშნულების რაზმებისათვის; ესაა მთელ მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული სახე. მაგალითად იაპონიაში, ფინეთში, გერმანიაში პოლიციელებს ჯიუ-ჯი-ცუს დიდი ოსტატები ავარჯიშებენ. ჩვენ, ცხადია, ისეთი რანგის ოსტატები არა გვყავს, როგორც იქ, მაგრამ ჩვენი მწვრთნელებიც — ავთანდილ მიქაძე, კახა კინწურაშვილი, გიორგი ჭელიძე, სპარტაკ გოცირიძე მრავალი შეჯიბრების ჩემპიონები არიან.

ის ტრადიციები, რაც იაპონურ საბრძოლო ხელოვნებას გააჩნია, ესაა ტრადიციები ფიზიკური და სულიერი სრულყოფისა, რომელიც ადამიანს აყალიბებს მებრძოლად. დღეს სწორედ ამგვარი მებრძოლი სული სჭირდება ქართულ მილიციას.

სპეცდანიშნულების რაზმი მთელ საქართველოს მოემსახურება. მისი ფუნქციაა ტერორიზმის, ბანდიტიზმის, ორგანიზებული შეიარაღებული დამნაშავეობის და მწვავე ეთნოკონფლიქტების წინააღმდეგ ბრძოლა. მსგავსნ დანაყოფები თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში ფუნქციონირებს.

სამომავლოდ, ვფიქრობთ, ათასეულის ფორმის შექმნაზე, ჯერჯერობით კი ვინაიდან ეკონომიურ ბლოკადაში ვართ და მატერიალური სახსრებით შეზღუდული ვართ, ამას ვერ ვახერხებთ.

სპეცდანიშნულების ათასეულის შექმნა, ჯერ ჩამოყალიბების ფაზაშია. პირველი ასეული ვარჯიშებს განაგრძობს. აქ არავინ მოხვედრილა შემთხვევით, ყველას გათვლილი — გაზომილი აქვს თავისი მოვალეობა ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

ავთანდილ ხიზანიშვილი: თექვსმეტი წელია ძიუდოში ვვარჯიშობ. სამხედრო-სავალდებულო სამსახურიც მოვიხადე. ახლა კი გადავწყვიტე ამ რაზმში სამსახური. მართალია, ეს ყველაფერი გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული, რადგან ვიცი, ეს დანაყოფი დამნაშავეობასთან ბრძოლის წინა ხაზი იქნება.

გია ჩუხუა — მილიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი:

ვფიქრობ, ყველა ადამიანი თავის საქმეში პროფესიონალი უნდა იყოს. აქ ჩატარებული მეცადინეობები, ვარჯიშები საშუალებას იძლევა, რომ პროფესიონალ პოლიციელად ჩამოყალიბდე. გარკვეული შესაძლებლობები ახლაც გაგვაჩნია, მაგრამ ჯერ დრო გვჭირდება.

მხოლოდ ვაქების საყურადღებოდ

ქართველი ბუნებით მებრძოლია, სულით ძლიერი, მაგრამ დაინტერესდით, რამდენად შეითვისებს მისი ბუნება იაპონური მეთოდებით ვარჯიშს. მწვრთნელებმა გვითხრეს, რომ მთავარია ის საბრძოლო სული, რომელიც ამ ხელოვნებაში დევს. ქართველი კი ამ საბრძოლო სულს თავის პრიზმაში გაატარებს და თავისებურად შეითვისებს. მაგალითად, იაპონელები და ჩინელები ბევრს ერთი ტიპის ხალხად წარმოუდგენია, მაგრამ, როგორც იცით, ესაა სრულიად სხვადასხვა ხალხი თავიანთი ხასიათით, კულტურით, მსოფლმხედველობით. მიუხედავად ამისა, იაპონური კულტურა ჩინურ კულტურაზეა აღმოცენებული, მაგრამ დღეს იაპონური კულტურა სრულიად თვითმყოფადია. ასე რომ, ჩვენც უნდა ვიხელმძღვანელოთ უცხო ქვეყნის საბრძოლო ხელოვნებით, ჩავწვდეთ მის სიღრმეს და შერე იგი თავისთავად მონახავს ჩვენეული განვითარების გზას.



გოგი დადიანი — სპეცდანიშნულების ათასეულის მეთაურის მოადგილე:

პრობლემები ძალიან ბევრია, მაგრამ ვგრძნობთ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერას. გლდანში გამოგვიყვეს საწვრთნელი ცენტრი, საქართველოს ეროვნულ სტადიონზე საპიდაო დარბაზი. თუკი რამ შესაძლებელია. რესპუბლიკაში, ჩვენი რაზმისათვისაც იქნება მობილიზებული. ოღონდ, ამჯერად, მორალურად და ფიზიკურად ძლიერი ქართველი ბიჭები გვჭირდება, მამულის, ქვეყნის სიყვარული და დაცვა რომ შეუძლია. პერსპექტივაში გვაქვს შსგავსი რაზმები რესპუბლიკის სხვა რეგიონებშიც შეიქმნას, დღეს კი მხოლოდ თბილისელი და თბილისის ზონაში მცხოვრები ჭაბუკები გვჭირდება, ვინაიდან რაიონებიდან ჩამოსულთათვის სოციალური პირობების შექმნის ელემენტარული საშუალება არა გვაქვს.

მამულის სიყვარულისათვის სამაგიეროს არავინ არავის ჰპირდება, მაგრამ გარკვეული პრივილეგიები, სპეცდანიშნულების რაზმის თავისებურების გამო, ამ რაზმებში მოხვედრილ ჭაბუკებს მაინც ექნებათ. კვლავ გვჯერა ქართველი ჭაბუკების გულის და მარჯვენის, შემართების და სიძლიერის. გვჯერა, რომ ამჯერადაც, როგორც ყოველთვის, მოგვაკითხავენ, ამ რაზმში გაერთიანდებიან, ერთად იბრძოლებენ საქართველოს მშვიდი დღეებისა და ბედნიერი მომავლისათვის.

ნინო კვაჭანტირაძე,
ჩვენი ხალხ. კორესპონდენტი
ზურაბ ქავთარაძის ფოტოები.

ორიოდ სიტყვა რუსეთ-საქართველოს ახალი ხელშეკრულების შესახებ

ელვის სისწრაფით ვითარდება მოვლენები საბჭოთა კავშირში. ეს მოვლენები ძირითადად კაცობრიობის განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას ასახავს, მაგრამ მოვლენათა ეს კანონზომიერი განვითარება მუხრუჭდება რეაქციული ძალების მიერ და ღმერთისა და სატანის ბრძოლის ანარეკლს წარმოადგენს.

არც თუ ისე დიდიხნის წინ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციაში გაბატონებული იყო შეხედულება, რომ საქართველომ არც ერთ საბჭოთა რესპუბლიკასთან პოლიტიკური ხელშეკრულება არ უნდა დადოს, ვიდრე იგი სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას არ მიიპოვებს და არ გახდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, მხოლოდ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ მან შეიძლება, დადოს პოლიტიკური ხელშეკრულებები ყველა ქვეყანასთან და მათ შორის საბჭოთა კავშირის იმ რესპუბლიკებთანაც, რომლებიც დამოუკიდებლობას მოიპოვებენ.

დღევანდელი პოლიტიკური ვითარება საბჭოთა კავშირში მკვეთრად განსხვავდება იმ პოლიტიკური ვითარებისგან, რომელიც თუნდაც სულ რაღაც ერთი წლის წინ იყო. მკვეთრად გამოიკვეთა ექვსი რესპუბლიკის მისწრაფება სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ, აქედან ორმა — ლიტვამ და საქართველომ — უკვე გამოაცხადა დამოუკიდებლობა. სუვერენიტეტის მოპოვებისათვის იბრძვის რუსეთიც, თუმცა იგი საბჭოთა კავშირის შენარჩუნების მომხრეა კონფედერაციულ საწყისებზე.

ჩემი ღრმა რწმენით დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ რესპუბლიკებს შორის არამც თუ შესაძლებელია პოლიტიკური ხელშეკრულებების დადება, არამედ ფრიად საჭიროც! მაგრამ როგორი ხელშეკრულებების?

სრულფასოვან პოლიტიკურ ხელშეკრულებებს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რესპუბლიკები, რა თქმა უნდა, ვერ დადებენ და რომც დადონ მათ არავითარი ძალა არ ექნება და მსოფლიო საზოგადოებრიობა მათ არ მიიღებს. მაგრამ პოლიტიკური ხელშეკრულებები, რომლებიც გამოხატავენ მხარეთა თანადგომას მათ ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის და ხელს შეუწყობენ პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას საბჭოთა იმპერიის რღვევის პროცესში, ფრიად სასარგებლო იქნება.

ამა წლის 23 მარტს დაბა ყაზბეგში შედგა შეხვედრა ბატონ ზვიად გამსახურდიასა და ბატონ ბორის ელცინს შორის, რომელზედაც გადაწყდა, რომ უახლოეს ხანში უნდა დაიდოს პოლიტიკური ხელშეკრულება რუსეთსა და საქართველოს შორის. მე ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი, რომ სწორედ ისეთი ხელშეკრულების დადებაა გათვალისწინებული, რომელიც ზემოთ ვახსენე. ამიტომ, მე მიმაჩნია, რომ არ უნდა შევადაროთ მომავალი ხელშეკრულება რუსეთ-საქართველოს 1783 წლისა და 1920 წლის ხელშეკრულებებს, რადგან გამოვა, თითქოს, რუსეთ-საქართველოს ახალი ხელშეკრულება ისეთი ხასიათის უნდა იყოს, რომ მან თუ სამუდამოდ არა, დიდი ხნით მაინც უნდა განსაზღვროს ქართველი ერის ბედი.

რუსეთ-საქართველოს მომავალი ხელშეკრულების დადებისას, გარდა იმისა, რაც ზემოთ აღვნიშნე, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ისიც, რომ იმპერიაა არა მარტო საბჭოთა კავშირი, არამედ რუსეთიც. ეს ორი იმპერია საოცრად ჰგავს ერთმანეთს არა მარტო შინაარსით, არამედ სტრუქტურითაც. უნდა დაიშალოს ორივე იმპერია, მხოლოდ აქ საჭიროა სუბორდინაციის დაცვა: ჯერ უნდა დაიშალოს საბჭოთა კავშირი, შემდეგ კი რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე რუსეთ-საქართველოს ახალი ხელშეკრულების შესახებ შემოგაქვს შემდეგი წინადადებები:

1. რუსეთ-საქართველოს მომავალი ხელშეკრულება უნდა იყოს შეზღუდული ხასიათისა და უნდა ასახავდეს მხარეთა ურთიერთმხარდაჭერას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და მისწრაფებას ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის შენარჩუნებისაკენ საბჭოთა იმპერიის რღვევის პროცესში.

2. რუსეთმა უნდა აღიაროს და დაჰგმოს საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია 1921 წლის თებერვალ-მარტში.

3. ხელშეკრულება არ უნდა შეიცავდეს მხარეთა ურთიერთვალდებულებებს სამხედრო და პოლიტიკურ საკითხებში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

4. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს მუხლს ერთმანეთის შინაურ საქმეებში ჩაურევლობის შესახებ.

5. ხელშეკრულებაში უნდა იყოს აღნიშნული, რომ რუსეთსა და საქართველოს ერთმანეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები არ გააჩნიათ.

6. ხელშეკრულებაში გვერდი უნდა ჰქონდეს ავლილი საკითხს რუსეთის ფედერაციის მთლიანობის შენარჩუნების შესახებ, რათა საშუალება არ მოვუსპოთ რუსეთის ფედერაციაში შემავალ ერებს თავისუფლებისათვის ბრძოლისა.

7. ხელშეკრულებაში დაგმობილი უნდა იყოს ცენტრის უხეში ჩარევა რესპუბლიკების საშინაო საქმეებში.

შესაძლებელი გახდება თუ არა ასეთი ხელშეკრულების დადება რუსეთთან? მგონია, რომ უახლოეს ხანში ეს არ მოხერხდება. მართალია ბორის ელცინი უაღრესად პროგრესული პოლიტიკური მოღვაწეა, მაგრამ გავიხსენოთ, რომ სულ ახლახან რუსეთის პარლამენტმა საოცარი ერთსულოვნებით მიიღო ანტიქართული დადგენილება, რომელიც არა მარტო საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევაა, არამედ საქართველოს სუვერენიტეტის ფეხქვეშ გათელვაც.

მაგრამ მჯერა, რომ რუს ერს ადრე თუ გვიან გაუქრება ის დიდმპყრობელური სულისკვეთება, რომელიც მას დღეისათვის გააჩნია. ამ სულისკვეთების არსებობა კი სავსებით ბუნებრივია: რუსეთი ხომ ერთ-ერთი ყველაზე ტრანზული იმპერიაა მსოფლიოში, რომლის არსებობის ხანგრძლივობაც მხოლოდ ბიზანტიის იმპერიის ხანგრძლივობას თუ ჩამორჩება.

ზურაბ ცერცვაძე,

ნერკილი რედაქციას

შეაჭარე კედელს ცარცვი!

„ახალგაზრდა იერიონში" 13 აპრილს გამოქვეყნდა ჩემი ამატარა წერილი „სიფეხმაძღარი კალენდარი და... ბასკეთი", რომელშიც ალინაშვილი იწერ, რომ ეროვნებითი (თუ-მცა ფაქტობრივი) ნაბიჯია, რაც ქართველ ფეხბურთის ოფიციალურ სალიგოში ჩემპიონატზე უფლებამ, ანუ ჩვენი ნაკრების საერთაშორისო ოხოლიკი. ეს ნაბიჯი მთელეტაქმა. ეს ნაბიჯი ძალიან ბევრადაა ეგვანი საზეიმოდ ეროვნული ბენდის ხილვის საშუალება. საკონფერენციო ტელევიზიის ეროვნული ტელეარხი ეროვნული ბენდის ბენდ-ლიბა. ეს ეტყვილ ეროვნული ტელეარხი ეროვნული ბენდ-ლიბა ეროვნული ბენდ-ლიბა ეროვნული ბენდ-ლიბა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲘᲓᲘ

შოთა იამანიძე, მიხეილ მესხი.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ

ᲘᲬᲧᲔᲑᲐ—ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲑᲐ

ქართული ფეხბურთის გულშემატკივარი უსაზღვრო სევდას და მწუხარებას მოუცავს — თბილისის „დინამოს“ ოქროს გუნდმა შოთა იამანიძის და ვახტანგ რეხვიაშვილის შემდეგ მესამე დიდი დანაკლისი განიცადა. ჩვენს რიგებს გამოაკლდა ფეხბურთის უბადლო ოსტატი, სახელგანთქმული მიხეილ მესხი. ფეხბურთის დახაღვლიანებულ გულშემატკივარს იმედად მხოლოდ მისი თამაშის გახსენებაღა შემორჩათ.

...ფილიგრანული პასი მარცხენა ფრთიდან და ვიქტორ პონედელნიკის გადამწყვეტი გოლი იუგოსლავიელთა კარში ევროპის თასის ფინალურ მატჩში პარიზის „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე 1960 წელს; დაუვიწყარი მატჩი იმავე წელს „ბურევესტნიკის“ სტადიონზე ბრაზილიის „ბაიასთან“; ანდაც მატჩი საკავშირო პირველობაზე მოსკოვის „დინამოსთან“ 1963 წლის 25 ივლისს — ბრწყინვალე დრიბლინგი, უკან არის მოტოვებული მოსკოვის დინამოელთა მთელი დაცვა და ბეკარე ლევ იაშინი და... აღფრთოვანებული 45.000 მაყურებელი. ასეთ მოგონებებს ვინ მოთვლის ფეხბურთის ჭეშმარიტი თაყვანისმცემლის მეხსიერებაში. მიხეილ მესხი კიდევ დიდხანს იცოცხლებს, ამიერიდან ხომ ახალი ცხოვრება იწყება — უკვდავება...

მშვიდობით, ბატონო მიშა, და უღრმესი მადლობა იმ უდიდესი სიამოვნებისათვის, რომელსაც წლების განმავლობაში ანიჭებდით ფეხბურთის გულშემატკივარს.

ᲨᲔᲠᲐᲖ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ.

ᲛᲔᲡᲮᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲐᲜᲔᲛᲝᲠᲓᲔᲑᲐ

დამთრგუნველია მწუხარება, სევდა, მიხეილ მესხის მოულოდნელი გარდაცვალებით რომ არის გამოწვეული.

ალბათ, იშვიათად მოიძებნება სპორტსმენი, ხელოვანი, საერთოდ შემოქმედი ადამიანი, რომელსაც თავისი ნიჭით, თვითმყოფადობით მასავით მოენუსხოს და დაეპყროს მილიონთა გულები და მიწიერი სიცოცხლე გაელამაზებინოს. მიშა არ ჰგავდა არავის და სწორედ ამაში იყო მისი პიროვნული სიდიადეც და ტრაგედიაც.

15 წლის ჭაბუკმა თავისი განუმეორებელი ტალანტით საფეხბურთო მინდვრებზე აზვირთებულ სტერეოტიპს ბრძოლა გამოუცხადა და მის თვალწინ შეუდარებელი ემოციური და ესთეტიკური ზემოქმედებით ბურთის თამაში ხელოვნებად აქცია. ჩვენს ცხოვრებაში სწორუპოვარმა მიშა მესხმა მზესავით შემოანათა და ღრუბლიანი, ნაცრისფერი ყოფა გაგვიცისკროვნა. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ მესხი 10 წლის მანძილზე გვაჯერებდა და გვარწმუნებდა ტალანტის ყოვლისშემძლეობაში, რომელსაც ყველა ვითარებაში ძალუძს ადამიანებს მიწიერი სიმძიმე შეუმსუბუქოს და სიხარული მიანიჭოს; მიშა მესხი მხოლოდ ფეხბურთელი არ ყოფილა, ის ჭეშმარიტი შემოქმედი გახლდათ მინდორზე, რომლის „კალმახური სხლტომა“, მურმან ლებანიძის სიტყვა რომ გავიხსენოთ, უმაღლეს ესთეტიკურ მშვენიერებასთან გვაახლოებდა და ეროვნულ ღირსებას გვმატებდა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, მისი ტალანტის ექო სხვა მასშტაბისა და ყოერადობის იქნებოდა, მისი სამშობლო — საქართველოს თავისუფლება იმპერიული სახელმწიფოს კედლებით რომ არ ყოფილიყო შემოფარგლული. შეზღუდული ინფორმაციის, საზღვარგარეთის სტადიონებზე ეპიზოდური გამოსვლების მიუხედავად, მან მაინც დაიკავა ღირსეული ადგილი მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავთა: პელეს, გარინჩას, სანტოსისა და სხვათა გვერდით და მათთან ერთად გახდა მსოფლიოს იდეალური ნაკრების წევრი. შინაურ თუ გარე მოწინააღმდეგეებთან ბრძოლით დაღლილმა მაინც უკვდავყო თავი და დარჩა ყველა ქართველის გულში. მიშა მესხის მსგავსი ადამიანი სამშობლოს არ უკვდება, იგი გარდაიცვალა და სულით მარადიულობაში დამკვიდრდა.

მსუბუქი ყოფილიყოს მის მკერდზე ქართული მიწა.

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲐᲛᲐᲨᲣᲙᲔᲚᲘ

საიუბილეო ტურნირი სპორტის სახახლეში.

დღეს უკანასკნელ გზაზე გავაცილებთ ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავს, 60-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელს, მიხეილ მესხს...

ძნელია, ძალზედ ძნელია შევაფასოთ მისი ღვაწლი ქართული ფეხბურთის წინაშე. მოკლედ ვიტყვით — მიხეილ მესხი იყო დ-ი-დ-ი ფეხბურთელი. ფეხბურთელი, რომელიც არავის ჰგავდა — იმდენად თვითმყოფადი და გასაოცარი ინდივიდუალური ოსტატობა ჰქონდა. უზადო ტექნიკა, ფილიგრანული ფიხტები მხოლოდ მისი — მიხეილ მესხის საკუთრება იყო. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ ჩაუყენებია მეტოქეთა მცველები მართლაცდა სასაცილო და უსუსურ მდგომარეობაში... ალბათ, მისი ასეთი ინდივიდუალობის „ბრალიც“ იყო, რომ ძალზედ ხშირ შემთხვევაში საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელები რატომღაც ნაკლებად „სწყალობდნენ“ ამ მართლაცდა ბრწყინვალე ვარსკვლავს. თუნდაც 1963 წლის შემოდგომა გავიხსენოთ, როდესაც ინგლისში „საუკუნის მატჩი“ გაიმართა ინგლისისა და დანარჩენ მსოფლიო ნაკრებს შორის. მსოფლიოს ნაკრების შემადგენლობაში ალფრედო დი სტეფანოს, რაიმონ კოპას, ფერენც პუშკაშის, დენის ლოუს, იოზეფ მასოპუსტის, ჯალმა სანტოსის, უვე ზელერის, ლევ იაშინის, კარლ-ჰაინც შნელინგერისა და სხვა ვარსკვლავების გვერდით მიხეილ მესხსაც უნდა ეთამაშა, მაგრამ... საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ რეკომენდაცია არ მისცა იმ მოტივით, თითქოსდა მესხი სათანადო სპორტულ ფორმაში არ იმყოფებოდა...

ᲛᲔᲡᲮᲘ

გავიხსენოთ 1964 წლის ევროპის თასის ფინალური ტურნირი, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატი — ორივე შემთხვევაში ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელებმა კონსტანტინე ბესკოვმა და ნიკოლოზ მოროზოვმა მესხს „მუშა“ ფეხბურთელები ჰუსაინოვი და პარკუიანი ამჯობინეს. მაგრამ, რაღა შორს მივდივართ, გახა აქ, საქართველოში, ყველა ერთხმირად აფასებდა მის საფეხბურთო ტალანტს? ახლაც, 22 წლის შემდეგ, სტაქიანი გულშემატკივრები სინანულით იხსენიებენ 1969 წლის 16 ივლისის საღამოს, როდესაც მიხეილ მესხმა უკანასკნელი მატჩი ჩაატარა თავისი მშობლიური „დინამოს“ შემადგენლობაში. ამ შემთხვევაში, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა ქართული ფეხბურთის პატრიარქის, აწ განსვენებულ ანდრო ჟორდანიას სიტყვები მოვიყვანოთ:

„...ფეხბურთში ბევრი ავიც მინახავს და კარგიც, ჩემი გაოცება არ არის ადვილი. მაგრამ დღემდე გამოცანად დამრჩა — რატომ დატოვა მ. მესხმა დიდი ფეხბურთი? განა ცუდად თამაშობდა? გასულ წელს იგი რატომღაც იშვიათად გამოყავდათ გუნდის შემადგენლობაში, მაგრამ მისი მონაწილეობით „დინამოს“ თითქმის არ წაუგია თამაში და რაც მთავარია, იგი საუკეთესო იყო მოედანზე. წელს კი დიდი ხხის „შესვენების“ შემდეგ გამოვიდა მსოფლიოში აღიარებული გუხდის — ურუგვაის „ნასიონალის“ წინააღმდეგ. მის ამხანაგებს, ვფიქრობ, საწყენად არ დარჩებათ, თუ ვიტყვით, რომ იმ დღეს მ. მესხი უბადლო იყო მოედანზე. ცოტას როდი ნიშნავს, ასე გამოირჩეოდე 22 საუკეთესო ქართველ და ურუგვაელ ფეხბურთელებს შორის! მაშ მ. მესხს თამაში შეძლებია. განა საოცარი არ არის, რომ ასეთ ფეხბურთელს ვაცილებდეთ, როგორც „მოხუცს“? 50 წლის ს. მეტიუზი თუ არ გახსოვთ, 40 წლის ლ. იაშინის თამაში ნახეთ და დაიფასეთ ის გულთბილობა, რასაც მისდამი ყოველთვის იჩენდნ და იჩენს სპორტული საზოგადოება! სპორტული სიბერე 32 წლის მ. მესხისთვის ჯერ არ დამდგარა, ჯერ შორს არის!“

დიახ, ნაადრევად, ძალზე ნაადრევად დაემშვიდობა მიხეილ მესხი დიდ ფეხბურთს, იქამდე კი 14 სეზონის განმავლობაში იცავდა მშობლიური გუნდის ღირსებას და ამ ხნის განმავლობაში არაერთი სიხარული მოუტანა მისი ნიჭის უამრავ თაყვანისმცემელს. აღიარებაც მალე მოვიდა — რესპუბლიკური თუ საკავშირო გაზეთები ხოტბა-დიდებას არ იშურებდნენ ამ „უცნაური“ ფორვარდის შესამკობად. 1959 წლის 6 სექტემბერს მიხეილ მესხმა პირველად ითამაშა საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ჩეხოსლოვაკიის ნაკრების წინააღმდეგ და დებიუტიც ბრწყინვალე აღმოჩნდა — მესხმა ერთი გოლი თვითონ გაიტანა, ხოლო ერთი ბურთი კი ვალენტინ ივახოვმა მესხის „საფირმო“ პასის შემდეგ. ამ შეხვედრას ძალზე ფართოდ გამოეხმაურა ევროპული პრესა. გთავაზობთ ფრაგმენტებს ზოგიერთი მათგანიდან.

„ინტერნაციონალეს სპორტივო“ (გდრ): „...ილინის ნაცვლად საბჭოთა კავშირის გუნდის შემადგენლობაში პირველად ითამაშა ქართველმა მესხმა. იგი ბრაზილიური ყაიდის ფეხბურთელია, შესანიშნავად ფლობს ცრუ მოძრაობებს, კარგად ერკვევა თამაშში და ამასთან, მეტად სწრაფია“.

„ფუსბალ-ვოჰე“ (გდრ): „...ბაყურებელთა ჯგუფები ყვიროდნენ „მესხი, მესხი“. ამ უაღრესად ტექნიკურ და მეტად სწრაფ თავდამსხმელს აქვს ყველა მონაცემი, რათა საბჭოთა ფეხბურთში უთვალსაჩინოესი ადგილი დაიკავოს“.

იმავე წელს, გვიან შამოდგომაზე, თბილისის „დინამომ“ საერთაშორისო ამხანაგური მატჩები გამართა დასავლეთ ევროპაში. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო შეხვედრები საფრანგეთში, სადაც დინამოელებმა შესანიშნავი თამაში აჩვენეს და, როგორც ყოველთვის, მათ შემადგენლობაში გამოირჩეოდა მიხეილ მესხი. აი, რას წერდა ნიმის „ოლიმპიკთან“ მატჩის შემდეგ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული საფეხბურთო მიმომხილველი გაბრიელ ანო:

„... და კვლავ ბრწყინვალედ გამოიჩინა თავი ჩქარი გარღვევებით, ფინტებითა და ეფექტური დრიბლინგით მარცხენა გარემარბმა მესხმა. მესხმა, ისევე როგორც ადრე, ცრუ მოძრაობით დაიღწია თავი ფრთხილ ბატაშს და გვერდითი ხაზის გაყოლებით შეიჭრა საჯარიმო მოედანზე. ყველა ძოელოდა გამჭოლ გადაცემას, მაგრამ მესხმა ძალიან ძნელი მდგომარეობიდან დაარტყა კარში და ბურთი ბადეში აღმოჩნდა. ეს იყო მთელი მატჩის ულამაზესი ეპიზოდი, როგორც ტექნიკური, ისე ტაქტიკური თვალსაზრისით“.

ასევე მაღალი შეფასება მიეცა მიხეილ მესხის თამაშს 1960 წელს. საერთოდ, ეს სეზონი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მის სპორტულ ბიოგრაფიაში. ევროპის თასის ფინალურ მატჩში სწორედ მიხეილ მესხის ბრწყინვალე გადაცემის შემდეგ გაიტანა გადაწყვეტი ბურთი იუგოსლავიელების კარში ვიქტორ პონედელნიკმა. მესხის შესანიშნავ თამაშს ამ ტურნირზე გამოეხმაურა ისეთი გაზეთები, როგორებიც არის „ეკიპი“, „ლიბერასიონი“, „ლუმანიტე“, „ჩესკოსლოვენსკი სპორტი“ და სხვა. იმავე წელს თბილისის „დინამომ“ სამი მატჩი გაბმართა ფეხბურთის სამშობლოში და კვლავაც ინგლისური პრესა კომპლიმენტებს არ იშურებდა ძიხეილ მესხის შესამკობად. „ტაიმსმა“ მიხეილ მესხი გამოჩენილ მარცხენა გარემარბად აღიარა. აქავე აზრისა იყვნენ აგრეთვე „დეილი მირორი“, „დეილი ექსპრესი“, „დეილი სკეტჩი“, „დეილი ჰერალდი“ და სხვა.

იმავე წლის შედეგების მიხედვით ევროპის სიმბოლური ნაკრების ერთ-ერთ ვარიანტში ლევ იაშინის, ბობი ჩარტონის, უვე ზელერისა და ლუის სუარესის გვერდით მიხეილ მესხიც იყო დასახელებული. უფრო დიდი აღიარება კი მესხს სამხრეთ ამერიკაში ელოდა. მისმა ბრწყინვალე თამაშმა არგენტინის ნაკრების წინააღმდეგ აღაფრთოვანა იქაური გულშემატკივრები, რომლებმაც ძესხს „ქართველი გარინჩა“ უწოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, რას წერდა „ელ გრაფიკო“: „...თავდასხმის მარცხენა გარეშარი მესხი თამაშობდა ბრწყინვალედ. მან „წვენი გამოუდიხა“ თავის უშუალო მეურვეს. მესხი ყველაზე მეტად არის „დამნაშავე“ ორივე გატანილ გოლში, რომლებმაც რუსებს გამარჯვება მოუტანა. **არგენტინელებს არაერთი დიდი ვარსკვლავის თამაში უნახავთ, მაგრამ რაც მესხმა აჩვენა „რივერ პლეიტზე“, ამის დავიწყება შეუძლებელია. იგი სუპერვარსკვლავია“.**

შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა მიხეილ მესხის თამაშმა 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც იგი ჩილელ გულშემატკივართა კერპი გახდა. იმავე წლის შედეგების მიხედვით მიხეილ მესხი მსოფლიოს რამდენიმე სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა, სადაც მის გარდა დასახელებულნი იყვნენ პელე და გარინჩა, დი სტეფანო და კოპა, დიდი და რივერა, ალბერტი და მასოპუსტი, შნელინგერი და ზიტო...

ახლა კი გვინდა შემოგთავაზოთ ფრაგმენტი ჩეხოსლოვაკიის სპორტულ ჟურნალ „კოპანადან“: „...რით ფამორჩევა მ. მესხის თამაში? ჯერ ერთი, იგი ძალზე სწრაფია, მეორე — მისი ადგილიდან გარბენი, უფრო სწორედ, „მოწყვეტა“, გარკვეული მოულოდნელობით ხასიათდება. ხოლო მესამე — ეს არის ცრუ მოძრაობათა მთელი სერია. განა ცოტაა ფეხბურთელი, რომელიც ასეთი თვისებით არის დაჯილდოებული. საქმე ის გახლავთ, რომ ყოველი ფეხბურთელი თავისებურად იყენებს შესაძლებლობებს. მიხეილ მესხი უფრო ჩამოყალიბებული, კონკრეტული, მიზანსწრაფულია, სწორედ ამიტომ მიიპყრო სპორტული საზოგადოებრიობის დიდი ყურადღება“.

აქვე გვინდა შემოგთავაზოთ ლევ იაშინის სიტყვები მიხეილ მესხის შესახებ, რომელიც, ვფიქრობთ, ძალზედ რეალურად ასახავს ამ უნიჭიერესი ფორვარდის ტალანტს: „...აი, ბურთი მიიღო მესხმა, მის წინ მცველია, თითქოს გზა აღარსადაა, მაგრამ ერთბაშად იფეთქა „ჩახვეულ“ ცრუ მოძრაობათა მთელმა ჯაჭვმა და ელვისებურად მოწყდა ადგილს. თუ მეტოქე დაეწევა მიხეილს, იგი უცებ შეჩერდება, თითქოს ნებდება, მაგრამ უმალვე იცვლის შიმართულებას, ანდა კვლავ გახაგრძობს ფინტს, ჩერდება და კვლავ შურდულივით წყდება ადგილს. ფანდების ასეთ კალეიდოსკოპს მუდამ აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებლები, მესხის მეტოქეებს კი ხასიათს უფუჭებდა, რადგან ყველა როდი უძლებდა ამ დაუოკებელ თავდაშსხმელთან გამართული ორთაბრძოლების დაძაბულობას. აი, რატომ იყო, რომ სწორედ მისი ფლანგიდან იქმნებოდა ჩემი კარისათვის (როდესაც ჩვენი კლუბები ხვდებოდნენ ერთმანეთს) განსაკუთრებული საფრთხე და „მუქარა“. მშვენივრად ფლობდა იგი ბურთის გადაცემის ზერხს ნებისმიერი მანძილიდან, ზუსტ დამაგვირგვინებელ დარტყმას, რომელიც მუდამ მიმართული იყო კარის დაუცველი წერტილისაკენ. მათ შორის, ვის წინააღმდეგაც მითამაშია, იგი იყო ყველაზე სახიფათო ფორვარდი, ყველაზე „ძნელი“ მეტოქე, თანაც ერთ-ერთი ყველაზე საყვარელიც... ისეთები, როგორიც მესხია, ფეხბურთს ჭეშმარიტად სილამაზეს სძენენ, პოეზია და რომანტიკა შეაქვთ თამაშში, ათეულათასობით გულშემატკივარს იზიდავენ სტადიონებზე. მესხმა, საფეხბურთო თეატრის ამ მოკაშკაშე, თვითნებადი ტალანტის მქონე მსახიობმა, ბევრი გააკეთა თავის კლუბისათვის...“

წერილში გამოყენებულია ფრაგმენტები დემიკო ლოლაძის წიგნიდან „მიხეილ მესხი“.

...მადლობელი ვართ!

სამშაბათს, 23 აპრილს „მოამბეში“ გამოაცხადეს, რომ გარდაიცვალა მიხეილ მესხი და მისი თამაშის ამსახველ იშვიათ კინოფირებს რეფრენად ინოლა გურგულიას მშვენიერი სიმღერა ჩაურთეს: „ლექსად ფრენისთვის, აღმაფრენისთვის... მადლობელი ვარ“.

მადლობელი ვართ! მადლობელი ვართ იმისათვის, რომ ბავშვობა გაგვილამაზე, რომ პოეტებზე, მხატვრებზე, კომპოზიტორებზე ადრე გვაზიარე მშვენიერებას...

მადლობელი ვართ იმ ბედნიერებისთვის, რასაც შენი მინდორზე გამოჩენის დროს განვიცდიდით.

60-იანი წლების დასაწყისში საქართველოში არ არსებობდა მიშა მესხზე პოპულარული ადამიანი. ბავშვებს სერიოზული ჩხუბი მოსდიოდათ ერთმანეთში, თუ ვის ექნებოდა უფლება მაისურზე მე-11 ნომერი დაეწერა. ჩვენთვის 11 ერთგვარი მაგიური ციფრი იყო (სხვათა შორის, დღემდე ასე დარჩა), რადგან ამ ნომრით მიშა მესხი გამოდიოდა...

მადლობელი ვართ იმ ექსტაზისათვის, რომელიც მინდორზე დანთებული (ცეცხლით) განგვაცდევინე...

ჩვენი მოტყუებული თაობა, მხოლოდ შენ არ მოატყუე, მხოლოდ შენ არ გააწბილე. პირიქით, იქით გაგაწბილეს მათ, ვინც ჩვენც გვატყუებდა, ტყუილზე გვზრდიდა. გენიალურ ფეხბურთელს უდიერად მოგექცნენ, ჯერ სათამაშოდ არ გიშვებდნენ, მერე კი საერთოდ დაგატოვებინეს მინდორი...

მახსოვს 69 წლის ივლისში ხალხი ცრემლით გაცილებდა.

ახლა მინდვრიდან კი არა, ცხოვრებიდან წახვედი. !

სხვისი არ ვიცი, მაგრამ მიგყვება ჩვენი თაობის ცრემლი, ფეხბურთელო, ხელოვანო, გმირო...

ალექსანდრე ბუაჩიძე

„როგორც ერთია ქვეყანა მთელი...“

მიხეილ მესხი მარიჯში.
მეკვობრეული შარვი გ. ფირცხალავა

დიდმა გალაკტიონმა ამ სტროფებით თავისი გენიალობა შეაფასა, ისე, როგორც მან იცოდა მხოლოდ, თამამად და დამაჯერებლად, უეჭველად. აღმაფრენით დაასკვნის კიდეც: „ისე ერთია გალაკტიონი!“ თუ ამ მაგიური სტრიქონებით ვინმეს შეფასება კიდევ შეიძლება, ერთ-ერთი უპირველესი მიშა მესხია... დიახ, მიხეილ მესხი — განუმეორებელი, შეუდარებელი, წარმოუდგენელი, ერთადერთი ქართულ ფეხბურთში. ვერც მისი დღევახდელი სიკვდილი და ვერც შემდეგში ქართული ფეხბურთის ისტორიის მსვლელობა ვერ შეცვლის ამ აზრს! უფრო მეტიც: ფეხბურთი რომ სპორტის მეფეა, ყველა დაგვეთანხმება და ამ სამეფოში მიშა მესხს სრულიად განსხვავებული, ცალკე ტახტი რომ ჰქონდა, ისიც ყველამ იცის! ჩვენი ღრმა რწმენით, მიშა მესხმა ის ადგილი უნდა დაიკავოს საერთოდ ქართული სპორტის ისტორიაში, როგორიც პელემ — მსოფლიოში. დიახ, მიხეილ მესხი — ქართული სპორტის უპირველესი კერპია!

კარგად ვიცით და გვწამს, რამდენი დაიწერა, ითქვა და კიდევ რამდენი ითქმება და დაიწერება მიშა მესხზე (განსაკუთრებით ამ გლოვის დღეებში), მაგრამ, ალბათ, მრავალი საუკუნეც ვერ შეაფასებს სრულად მის ქართულ ჯილაგს, ჯიშს, ენს, ‘ჯიგარს.. მესხის ნიჭი და ტალანტი მუდამ დარჩება ქართველი ხალხის, ქართული სპორტის ფენომენად!

ამ მწუხრის დღეებში მიშა მესხის უამრავი გულშემატკივარი, ქართული საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი ცრემლითა და გულისტკივილით გაიხსენებს მრავალ ეპიზოდს, მოვლენას, მომენტს მისი სპორტული ცხოვრებიდან, მის პიროვნულ, ვაქაცურ თვისებებს, მის დაუმორჩილებელ, ენინან ბუნებას, მის ხასიათს... უამრავი მაგალითებითა და ფაქტებით დაამტკიცებენ მიშას ორიგინალობას, არაორდინალობას, უნიკალურობას! ამ დღეებში ყველას სურს მიშა მესხს უკანასკნელად თაყვანი სცეს, გამოხატოს მისდამი დიდი სიყვარული და პატივისცემა... ამიტომაც. ჩვენ მისი დიდი აღიარების მხოლოდ ერთ ფაქტს გავიხსენებთ:

მოსკოვში, ხალხით გაჭედილ სტადიონზე, საფეხბურთო ქვეყნის — ურუგვაის ნაკრების მცველი, მიშას ფინტის შემდეგ სარბენ ბილიკზე რომ აღმოჩნდა, გაოცებული ასი ათასი მაყურებელი ერთიანად ფეხზე წამოხტა და... ტაში კი ვერ დაუკრეს, რაღაც უცნაური ისტერიული შეძახილი აღმოხდათ! ხოლო გაოგნებული ურუგვაელი სარბენ ბილიკზე დაჩოქილი, თავჩაქინდრული, მიშამ ძალდატანებით შემოაბრუნა სტადიონზე...

ფეხბურთის დღესასწაულების გმირი, თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულიც იყო. მას ძალიან უყვარდა უნივერსიტეტი, უამრავი მეგობრები და თაყვანისმცემლები ჰყავდა იქ... უფრო მეტიც, შემდგომშიც არ წყვეტდა უნივერსიტეტთან კავშირს, ხშირად გვინახავს ჩვენთან საქტო დარბაზში მისი მეგობრის, ცნობილი ფილოსოფოსის ვენორ ქვაჩახიას თუ სხვა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა საჯარო ლექციებზე... ერთადერთი ხინჯი დარჩა უნივერსიტეტის მეგობრებს მიშას მიმართ — ორი წელიწადია ვაპირებდით მასთან დიდი შეხვედრა-საღამოს მოწყობას, რათა ახალი თაობის სტუდენტებს კიდევ უფრო ღრმად შეეცნოთ ჩვენი თაობის მსგავსად მიშა მესხის იდეალურობა... მაგრამ აღარ დაგვცალდა...

ოთარ მიმინოშვილი,
ვეტერანი ! ფუალბურთელი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტული კლუბის თავმჯდომარე, დოცენტი.

ფოტოილუსტრაციო მასალების მოწოდებისათვის რედაქცია მადლობას უხდის ბატონ ელგუჯა ამაშუკელსა და ბატონ დავით ბუზუკაშვილს.

რეკლამა

პროფესიონალი ექსტრასენსების კურსებს ატარებს საბჭოთა-კანადა-ამერიკის ერთობლივი საწარმო „MI“ აღიარებული მეთოდიკით.

მეცადინეობებს უძღვებიან მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები და დოქტორები, მაღალკვალიფიციური ექიმი — ფსიქოთერაპევტები, ფსიქოლოგები, სპეციალისტები მანუალური თერაპიისა და ბიოლოკაციის, საერთაშორისო კატეგორიის ექსტრასენსები.

პროგრამა შეიცავს ძირითად ფასეულობებს ექსტრასენსორიკაში, როგორიცაა: პარაფსიქოლოგიის საფუძვლების შესწავლა, უკონტაქტო მასაჟი, მართვადი მედიტაციური პუტოტრენინგი, ნათელმხილველობა, დიეტოთერაპია (რადიონუკლეიდების გამოყოფით; ენერგეტიკული ნაკრების გახსნა, თვითრეგულაციის სპეციალური მეთოდის შესწავლა, რომლითაც უმჯობესდება ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობები და მეხსიერება, გახსნა განსაკუთრებული უნივერსალური კოდისა და ბიოლოგიური გასაღებით, მუშაობა აზრობრივ ორეულზე — დიაგნოსტიკა და მკურნალობა, მანძილზე და ფოტოსურათებით.

კურსები ჩატარდება 2-დან 12 მაისის ჩათვლით, ვინც წარმატებით ჩააბარებს გამოცდებს, მიეცემა საერთაშორისო კატეგორიის, I და II ხარისხის დიპლომი — სერტიფიკატი, რომელიც იძლევა უფლებას ექსტრასენსორიკის მეთოდების პრაქტიკული გამოყენებისათვის მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

თქვენი შესაძლებლობები შემოისაზღვრება მხოლოდ თქვენი ნიჭით!

გადახახდელი თანხა 756 მანეთი, მიიღება 26 აპრილიდან 30 აპრილამდე ქუთაისის რკინიგზის კლუბში. ტელეფონი: 5-80-28.

ყურადღება — შვეცია!

ა/წლის 13-დან 21 მაისამდე კომფორტაბელური გემით ბალტიკის ზღვაში სამოგზაუროთ ვიწვევთ მხოლოდ მათ, ვისაც აქვს თუნდაც უკვე ვადაგასული უცხოეთის პასპორტი და უზარმაზარი სურვილი დაათვალიეროს სკანდინავიის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი სტოკჰოლმი და ეს ყველაფერი არაკონვენტირებულ, ყოვლად უვარგის, მაკულატურის დონეზე დაცემულ მანეთებად.

ერთი წუთის დაფიქრებამაც კი შეიძლება იმდენად დაგაგვიანოთ, რომ ყველა საგზური გაყიდული დაგხვდეთ.

იჩქარეთ!

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, თამარაშვილის (ყოფილი გურამიშვილის) ქ. № 18. იპოდრომის ტერიტორია, კოტეჯი № 17. მოგვმართეთ ყოველდღე 11.00-დან 18.00 საათამდე გარდა კვირისა. შესვენება არა გვაქვს.

კომერციული კომპანია “ბაჩი“.

ყურადღება!



1863 წელს ილია ჭავჭავაძის რედაქციით გამოვიდა მხატვრულ-პუბლიცისტიკური ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. სულ გამოცემული იყო 12 ნომერი.

ახალგაზრდული წიგნის ცენტრი ფირმა „ივერია“ იწყებს ხელმოწერას „საქართველოს მოამბის“ ფაქსიმილურ გამოცემაზე (ხუთ ტომად). „ივერია“ ქართველ მკითხველს სთავაზობს სიახლეს. გათამაშება ხელმოწერა-ლატარეა და ბედნიერი ნომრის მფლობელი ხუთტომეულს შეიძენს უსასყიდლოდ. ყოველი მეოცე ბილეთი მომგებიანია.

ორგანიზაციებს და კერძო პირებს, ვისაც სურვილი აქვს შეიძინოს „საქართველოს მოამბის“ ხელმოწერა-ლატარეა, გთხოვთ, მოგვმართოთ. ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელ.: 96-91-82; 96-91-84.

რეკლამა

„დაბრუნება“

ოცნებადაქცეულ დედებს

ქალის უზენაესი მოვალეობაა იყოს სათნო და გერქვას დედა. დედა — შემოქმედ ყოველთა კეთილთა და მამულის გამაძლიერებელი. დედა — მშვენიერი, დედა — გულოვანი. ჭირთა და ვნებათა მომთმენი, დედა — უსაყვარლესი, ყოველგვარი მწუხარების მოძულე, ყოველგვარი ყინულის მომრევი...

...და მაინც არსებობენ ბავშვთა სახლები, თავიანთი ჰატარა სევდიანი მცხოვრებლებით, მუდამ-დღე დედების გზას რომ გასცქერიან. ისინი ობოლი შვილს ნუკრის მსგავსად, გულის ფანცქალით ელოდებიან დედის თვალებში ჩახედვას და ალერსს.

ოცნებადაქცეულო დედებო! ნუ დაქანცავთ მოლოდინით თქვენი შვილების პაწია გულებს, ნუ გადააქცევთ სიყვარულს უმძიმეს ტკივილად, ნატვრას — მარადიულ ტანჯვად.

ასოციაცია „ამაღლება“ მზადაა ყოველგვარი დახმარება გაუწიოს დედებს, რომლებსაც შვილის დაბრუნების სურვილი აქვთ.

(ვიძლევით ჩვენი ურთიერთობის ანონიმურობის გარანტიას).

დედებო!

მოგვმართეთ მისამართზე: ფალიაშვილის ქ. № 57, 17-დან 20-საათამდე ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა.

ასოციაცია „ამაღლება“.

ლორძინება „არგო“

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალბანეთი“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფირმა „ᲘᲝᲙᲝ“ აწარმოებს „ᲥᲔᲜᲝᲜᲘᲡ“ მარკის **A4** ფორმატის ერთჯერადი კარტრიჯების ხელმეორედ გამართვას ტონერით.

ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონზე: 62-00-52.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

ᲕᲪᲕᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ

ოთხოთახიან კოოპერატიულ ბინას 64 კვ.მ ფართით, სხვენში დამატებით ერთი ოთახი 16 კვ.მ 14 სართულიან სახლში მე-14 სართულზე ორი ლიფტით კეკელიძის ქუჩაზე (ვარაზის ხევი) ორ ორ-ოთახიან ბინებზე. ერთი ორ-ოთახიანი ბინა სასურველია იმავე ქუჩაზე ან ვაკეში ახლომდებარე ტერიტორიაზე. მეორე ორ-ოთახიანი ბინა ვაკის ან საბურთალოს რაიონში. ცნობებისათვის დარეკეთ: 23-23-67.

ᲕᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲠᲒᲛᲜᲔᲚᲐᲓ

მიმართეთ ფირმა „ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡ“ სერვის ბიუროს. ვიზების თარგმნა და დამოწმება ხდება ერთ დღეში. უცხოეთში წამსვლელებს შეუძლიათ მიიღონ შესაბამისი ანკეტები და ვიზების ქსეროასლები.

შეკვეთები მიიღება ყოველდღე გარდა კვირისა 10-დან 19 საათამდე.

მისამართი: ვახუშტი ბაგრატიონის №9 (მეტრო „წერეთელთან“).

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

თუ თქვენ გსურთ ბავშვების აღმზრდელის, მოხუცების, ავადმყოფების მომვლელის ბინაზე აყვანა, მიმართეთ ფირმა „ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡ“ სერვის ბიუროს.

მისამართი: ლერმონტოვის ქ.№19 (თავისუფლების მოედანთან).

ტელეფონი: 93-20-76

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

ᲕᲪᲕᲚᲘ ერთოთახიან იზოლირებულ ბინას ვლადივოსტოკიდან თბილისში ერთ ან ოროთახიან იზოლირებულ ბინაზე.

ცნობებისათვის მიმართეთ მისამართზე: მუხიანი, ნ. დუმბაძის პრ. № 9, მეექვსე სადარბაზო, ბინა 109, სვანიძე ამირანი, ტელეფონი 99-79-40, 10 საათიდან 6 საათამდე.

მუშაობას შეუდგა ახალბედა ᲑᲘᲝᲙᲝᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲙᲕᲐᲮᲐᲫᲔ. მას ათვისებული აქვს „ᲣᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲝ ᲑᲘᲝᲛᲐᲡᲐᲟᲘᲡᲐ“ და „ᲐᲙᲣᲞᲠᲔᲡᲣᲠᲘᲡ“ მეთოდიკა.

ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲑᲘᲝᲕᲔᲚᲘᲡ საშუალებით კურნავს შემდეგ დაავადებებს: **თვალის პათოლოგიას (სიელმე), შეძენილ დამბლას, ინსულტს, ბრონხიტს, ჩიყვს, კისრისა და წელის რადიკულიტებს, გულის, თავის ტკივილს, ყურის, კბილის და ნებისმიერ ანთებით პროცესებს, გაიმორიტს, ქალურ დაავადებებს (ნაადრევ პათოლოგიას, შენსტრუალურ დარღვევებს), კუჭ-ნაწლავს, კოლიტს, ნაღვლის ბუშტის ანთებებს, დაბუჟებებს და სხვა.**

მისი წინადადებების წიგნში არაერთ მადლობას ნახავთ. მაგ: „მე-10 სეანსზე მომეხსნა ნერვის ანთება, აღარ ვკოჭლობ. დამიბრუნდა შეგრძნება ჭუსლში“. „მქონდა გაიმორიტი, თავის ტკივილები. 5 სეანსის შემდეგ თავს კარგად ვგრძნობ, რაც დადასტურდა რენტგენითაც“. „მე-10 სეანსზე გამისწორდა გაელმებული თვალები“. „მაწუხებდა ყურის ტკივილი, სმენაც დამიქვეითდა. 3-4 სეანსის შემდეგ დამიბრუნდა სმენა. გამიქრა ხმაურის უსიამოვნო შეგრძნება“.

ᲙᲕᲐᲮᲐᲫᲔ მანანა ავადმყოფებს ღებულობს 60 წლის ასაკამდე ყოველდღე, კვირის გარდა 15^{00} სთ-დან 17^{00} სთ-მდე. შაბათს 9^{00} სთ-დან 11^{00} სთ-მდე.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ნაძალადევის რ-ნი, ძმობის II ქ. № 26, გადასასვლელი ხიდიდან ავტ. 222 ან 30. გაჩერება უიარაღოს ჩასახვევთან.

სარეკლამო სააგენტო **„არგო-ბლიკი“**

ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲡ, ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲔᲑᲡ, ᲙᲔᲠᲫᲝ ᲞᲘᲠᲔᲑᲡ.

ᲤᲘᲠᲛᲐ „ᲐᲠᲛᲐᲖᲘ“ სთავაზობს ყველა სახის საამშენებლო-სამონტაჟო, გამშვებ-გამმართველი, კერძო ბინებისა და ლოჯიების მშენებლობის სამუშაოების შესრულებას,

ჩვენი მისამართია: რუსთაველის გზატკეცილი, მე-17 კმ- სასათბურე კომბინატის მიმდებარე ტერიტორია.

ტელეფონი: 93-48-88.

* 93-32-45 (კომუტატორი), შიდა ნომერი 3-41.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

ᲕᲘᲚᲔᲑᲗ ᲨᲔᲡᲐᲙᲔᲗᲔᲑᲚᲐᲓ

ელექტროტექნიკურ და თბოტექნიკურ გამზომ ხელსაწყოებს (ამპერმეტრებს, ვოლტმეტრებს, მანომეტრებს, დამცველ სარქველებს და სხვ.) საქართველოს რესპუბლიკის საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან.

მისამართი: 380062 თბილისი, ილ.ჭავჭავაძის პრ. № 39, ამიერკავკასიის სპეციალიზებული სამონტაჟო-გამმართველი სამმართველო „ორგკვებმრეწვი“. ტელეფონები: 22-79-37; 23-10-21.

სარეკლამო-სააგენტო „არგო-ბლიკი“

მცირე საწარმო „ეხთეტი“

აცხადებს მუშების მიღებას სახალხო მოხმარების საქონლის საწარმოებლად.

ცნობებისათვის მიმართეთ ალ.ყაზბეგის პრ. №44 (ყოფილი პავლოვის ქუჩა). ტელეფონი 39-48-27.

საწარმოო მუსიკალური ინსტრუმენტების საწარმოო გაერთიანებასთან არსებული კოოპერატივი „სიმი“

ვღებულობთ შეკვეთებს და ვამზადებთ ორსაწოლიან არაბული სტილის ტახტს საკმაოდ შეღავათიან ფასებში, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 9.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.

მისამართი: ფეიქრების 14, მუსიკალურ-ინსტრუმენტულ ფაბრიკასთან არსებული კოოპერატივი „სიმი“

ტელეფონი: 99-53-49 67-79-39

დარეკეთ 18.00 სთ-ის მერე.

ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ ᲤᲘᲠᲛᲐ „ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲖᲛᲘ“

აცხადებს იუმორის, სიცილის, ანეკდოტების, კაფიების, პაროდიების, შაირების რესპუბლიკურ კონკურსს

ᲡᲘᲪᲘᲚᲘ-91

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს, როგორც პროფესიონალ, ისე არაპროფესიონალებს, ტალანტებს. მსურველებმა 15 მაისამდე უნდა გაიარონ წინასწარი რეგისტრაცია შესარჩევ ტურებში მონაწილეობის მისაღებად შემდეგ მისამართზე: ლერმონტოვის ქ. №19 (თავისუფლების მოედანთან).

შეგიძლიათ ტელეფონითაც დაგვიკავშირდეთ 93-20-76.

კონკურსში გამარჯვებულებს-ელით

პირველი პრემია — 3000 მან.

მეორე პრემია — 2000 მან.

მესამე პრემია — 1000 მან.

აგრეთვე ფასიანი პრიზები და სამახსოვრო საჩუქრები. ყველა დაწვრილებით ცნობას ჩვენთან შეიტყობთ.

ნუ დაკარგავთ შანსს, იჩქარეთ!!!

ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘᲐ ᲤᲘᲠᲛᲐ „ᲐᲠᲒᲝ“.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ

აგრძელებს მიღებას საბულალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების შემსწავლელ სამთვიან კურსებზე, სადაც მსმენელები, გარდა ზემოაღნიშნულისა, გაეცნობიან საწარმოთა ფუნქციონირების საფუძვლებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში, აგრეთვე — საგარეო ეკონომიკური კავშირების წარმართვისა და მარკეტინგის პრაქტიკულ გამოყენებას, საწარმოთა ფინანსების, ფასწარმოქმნისა და სხვა საკითხებს.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კოოპერატივების საბულალტრო აღრიცხვის საკითხებს.

მისამართი: დ.აღმაშენებლის პროსპექტი №79.

კურსები სამეურნეო ანგარიშზეა. დამთავრების შემდეგ მსმენელები მიიღებენ სათანადო მოწმობას.

დამატებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ ტელ. 95-30-35, 95-78-15.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

„ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“

თუ გსურთ თქვენი საქმიანობა ყურადღების ცენტრში იყოს როგორც დღეს, ასევე ხვალ, გაუწიეთ სპონსორობა მათ, ვინც მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს ბიზნესისა და შემოქმედების გზაზე, რათა მომავალში ღირსეულად ემსახუროს დამოუკიდებელ საქართველოს:

საქველმოქმედო შემეცნებითი გასართობი კონკურსი „ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“ მოზარდებს შორის

ᲔᲫᲔᲑᲡ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲔᲑᲡ

ჩვენი ტელეფონებია: 99-85-77 (14 საათიდან 16 საათამდე)

23-10-93 (18 საათიდან 21 საათამდე)

ასოციაცია „ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ“

ᲤᲘᲠᲛᲐ „ᲢᲐᲘᲤᲣᲜᲘ“

საზღვარგარეთის ქვეყნებში მუშაობის მსურველებს სთავაზობს საინფორმაციო - საშუამავლო მომსახურებას უცხოეთის ფირმებთან.

აქვე შეგიძლიათ ვიზებისა და სხვა დოკუმენტების თარგმნა.

ჩვენი მისამართია: ქ. გურჯაანი,

ნონეშვილის გამზირი № 4, მე-4 სართული

(ქალაქის საბჭოს შენობა)

როინ ცერცვაძეს და **ლელა არეშიძეს** ვულოცავ გაბედნიერებას.

პატივისცემით ბადრი ყაველაშვილი.

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲡ ᲓᲦᲔ

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისალები — 93-97-81;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-81-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲦᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲯᲔᲠ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ. ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს ეროვნულ-გაზეთების გამომცემლობა „ᲮᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ᲮᲝᲨᲐᲠᲣᲚᲘᲡ 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.

НАШ ИНДЕКС 66400

რედაქტორი
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲑᲐᲚᲐᲠᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.